

შპს „ვორდათ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „ვორდათ ჯორჯია“

N 01/23

2024 წლის 25 სექტემბერი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს
„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“
საქართველოს 2016წ. 8 ივნისის N5386-III კანონის მოთხოვნების თანახმად ვებ
გვერდზე reportal.ge გამოსაქვეყნებლად წარმოგიდგენთ შპს „ვორდათ ჯორჯია“ 2023
წლის ფინანსურ ანგარიშგებას. შპს „ვორდათ ჯორჯია“ აღნიშნული კანონით
დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და
ამავე კანონის თანახმად აღნიშნულ ანგარიშგებას წარადგენს „მცირე და საშუალო
საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs)“
ნორმების გათვალისწინებით.

დასახელება	2023	2022	2021
აქტივების ჯამური ღირებულება (ერთეული ლარი)	3801196	1422806	1145019
შემოსავალი (ერთეული ლარი)	7819814	9200997	8265303
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა (ერთეული)	48	42	107

გ. ნაგაშვილი



Handwritten signature

**განმარტებითი შენიშვნები შპს „ვორდათ ჯორჯია“ 2022 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე**

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „ვორდათ ჯორჯია“-ს შესახებ

საფირმო სახელწოდება: ვორდათ ჯორჯია
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445578385;
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 10/03/2020;
მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, კოტე აფხაზის ქ., #54

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - ჯემალ აბაშიძე 61001023451
დირექტორი - ულურ აიათა U 15924531, 61991007676 /თურქეთი/

პარტნიორები

მესაკუთრე

ჯემალ აბაშიძე (61001023451)- წილი კომპანიაში 50%
ულურ აიათა (61991007676)- წილი კომპანიაში 50%

ცვლილებები

ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში

2020 წლის 10 მარტს, ქ. ბათუმი, კოტე აფხაზის ქ., #54. ში შპს „ვორდათ ჯორჯია“
დააარსა ფ/კ ჯემალ აბაშიძემ (3/5 61001023451), რომელიც წარმოადგენს კომპანიის
მესაკუთრეს- მისი წილი კომპანიაში 100% და ასევე არის კომპანიის დირექტორი.
2020 წლის 13 ნოემბერს განხორციელდა ცვლილებები სარეგისტრაციო
მონაცემებში და შპს „ვორდათ ჯორჯია“-ს მესაკუთრეები გახდნენ

ჯ. აბაშიძე



ულურ აიათა

შპს „ვორდატ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ჯემალ აბაშიძე (61001023451) - წილი კომპანიაში 50%
ულურ აიათა (61991007676) - წილი კომპანიაში 50%
2020 წლის 13 ნოემბერიდან შპს „ვორდატ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელები არიან

დირექტორი-ჯემალ აბაშიძე (61001023451)
დირექტორი-ულურ აიათა (61991007676)

2020 წლის 10 მარტიდან შპს ვორდატ ჯორჯია დარეგისტრირდა მეწარმეთა და
არასამეწარმეო(არაკომერციულ)იურიდიულ პირთა რეესტრში სხვა
სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი,
სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები საწარმოდ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა
სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და
აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.
„ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური
აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც
მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გამოქვეყნებულია
„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ
ანგარიშგების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის
დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N5-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.
-ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია
კომპანიის დირექტორი.

შესაბამისობა

ჯ. აბაშიძე



ულურ აიათა

შპს „ვორდათ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

კომპანია ფუნქციონირებადია და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას საწარმოს აქტივები (ძირითადი საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს) შეფასებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა

ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

-ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარება განხორციელდა ბასს16-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი (თავდაპირველღირებულებას - ცვეთა) ღირებულებით.

5. ანაზღაურება



Handwritten signature in blue ink.

შპს „ვორდატ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

კომპანიის ინვესტიციები ბალანსზე აისახება საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად, გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

ცვეთა. ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლუატაციის (ცვეთის) პერიოდი და ცვეთის ღირებულება.

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა, როგორც არა არსებითი და ამდენად, ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის (ძირითადი საშუალების) თვითღირებულების ტოლია.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვა

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი

5. ანგარიშ



Handwritten signature in blue ink.

შპს „ვორდატ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით, ხოლო ბალანსზე ასახავს მარაგები შეფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის მუდმივი (წრფივი) მეთოდი (საბოლოო ნაშთი = საწყისი ნაშთი + მიღება - გასვლა).

ხარჯებად აღიარება

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის (და არა შეძენის) მომენტში.

საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ასევე ფულადი საშუალებებისა და დაუმთავრებელი წარმოების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა/ინვენტარიზაცია.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება ბასს18-ს მოთხოვნათა შესაბამისად.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა

საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას დღგ-ს დარიცხვა ხდება სსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. მამიძე



Handwritten signature in blue ink.

შპს „ვორდატ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პროცენტები, როიალტები და დივიდენდები ანგარიშგებაში ასახულია ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად.

საკურსო სხვაობების აღიარება

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

სალაროსა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას გამოიყენება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს, ხოლო ნაღდი ანგარიშსწორებისას-შესრულებული სამუშაოების მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტებსა და ინვოისებში დაფიქსირებულ მონაცემებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს 19-ს „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება ხდება ამ სტანდარტის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

5.2.2



[Handwritten signature]

შპს „ვორდატ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება, როგორც ხარჯი.
ხელფასების გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში, თვის ბოლო რიცხვებში
შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა, გაანგარიშება,
დეკლარირება და გადახდა წარმოებს - სსკ-ის XXI თავის 156-181 მუხლების
მოთხოვნათა შესაბამისად.

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკ-ს XIII თავის - მოგების
გადასახადი, 96 -99 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

კომპანია იყენებს ე.წ. ესტონურ მოდელს.

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში,
აისახება ფაქტობრივი ოდენობებით, მოგების გადასახადის დეკლარაციაში კი -სსკ-თ
განსაზღვრული შეზღუდვებისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ს XI თავის 79-82 მუხლების
მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი - სსკ-ს XIX თავის 200 -206 მუხლების მოთხოვნათა
მიხედვით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც
წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება
მისი განაწილება.

5.2023



[Handwritten signature]

შპს „ვორდათ ჯორჯია“ ს/კ 445578385 ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საწარმოებს თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებით ანგარიშების გახსნით.


ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

შპს „ვორდათ ჯორჯია“-ს

დირექტორი:

ჯემალ აბაშიძე



დირექტორი:

ულუერ აიათა



სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა
ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

1 ა) ფული და ექვივალენტები

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	43968		101570	122967	22571	
ნაღდი ფული უცხ. ვალუტაში	0		0	0	0	
სულ ნაღდი ფული	43968		101570	122967	22571	
ლარი საბანკო ანგარიშებზე			16155675	16154627	1048	
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	12117		2434933	2446975	75	
სულ ფული საბანკო ანგარიშებზე	12117		18590608	18601602	1123	
ჯამი	56085		18692178	18724569	23694	

2 ა) მოკლევადიანი მოთხოვნები

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1127656		15410855	14732595	1805916	
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ						
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები						
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (თამასუქები)						
ჯამი	1127656	0	15410855	14732595	1805916	0

წ. აბაშიძე



(Handwritten signature)

3 ა) სასაქონლო-მატერიალური მარაგი ნაშთი

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
საქონელი					0	
ნედლეული და მასალები					0	
დაუმთავრებელი წარმოება			1130676		1130676	
მზა პროდუქცია					0	
საწვავ-საცხები მასალ					0	
სხვა სას. მატ. საქონ.			59307	57529	1778	
ჯამი			1189983	57529	1132454	

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

3 ბ) სხვა მიმდინარე აქტივების მარაგი

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	36008		52718	47323	41403	
ჯამი			52718	47323	41403	

4 ა) ძირითადი საშუალებები

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშვალელები	27304				27304	
მიწის ნაკვეთები			564258		564258	
შენობები-ნაგებობები			18852		18852	
მანქანა-დანადგარები	127676		55091		182767	
კავშირგაბმულობის საშვალელები	9694				9694	
ოფისის აღჭურვილობა	7739		23914		31653	
ინვენტარი	30644				30644	
სულ	175753	0	662115	0	865172	

Handwritten signature



Handwritten signature

1000 ლ.მდე ღირებ. ძირ საშვალეზ.ცვეთა				5461		
შენობები-ნაგებობების ცვეთა				2696		
მანქანა-დანადგარების ცვეთა				30681		
კავშირგაბმულობის საშვ. ცვეთა				1939		
ოფისის აღჭურვ. ცვეთა				4218		
ინვენტარის ცვეთა				7919		
სულ				52914		
სულ ძირითადი საშვალეზები					812258	

5 ა) მოკლევადიანი ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
მოწ.დამომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები		267542	5527056	5520477		260963
მიღებული ავანსები		117136	288935	587676		415877
საგადასახადო ვალდებულებები		320831				232878
სხვა ვალდებულებები		136236				114212
ჯამი		841745	5815991	6108153	0	1023930

6 ა) გრძელვადიანი ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
გრძელვადიანი სესხები		428633	1919747	2761109		1269995
					0	
ჯამი		428633	1919747	2761109	0	1269995

7 ა) 5000 კაპიტალი

დასახელება	ნაშთი		ბრუნვა		ნაშთი	
	31.12.22				31.12.23	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		25565				25565
გაუნაწილებელი მოგება		126863			0	1496235
ჯამი		152428	0	0	0	1521800

5-25/2023



Handwritten signature

შემოსავლები და ხარჯები

6100	7,819,812
6110-2 დღგ-თი დასაბეგრი შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	7,819,812
6110-1 დღგ-თი არ დასაბეგრი შემოსავალი არასაოპერაციო	
7110-ძირითადი მასალების დანახარჯები	3980013
7300	10877
7310 მიწოდების ხარჯები	10877
7400	2380986
7410 შრომის ანაზღაურება	1978827
7413 სხვა დასაბეგრი სარგებელი	99305
7415 დამსაქმებლის საპენსიო ხარჯი	14886
7420 საიჯარო ქირა	130243
7425 მომსახურების ხარჯი	300
7430 კომუნიკაციის ხარჯი	2392
7435 დაზღვევა	1769
7436 სამეურნეო ხარჯი	75784
7445 კომპიუტერის ხარჯი	381
7450 საკონსულტაციო ხარჯი	2400
7455 მიმდინარე პერიოდის ცვეთის ხარჯი	50676
7456 ბანკის საკომისიო ღირებულება	6540
7457 ბანკის საკომისიო ხარჯი ეურო	1021
7458 ბანკის საკომისიო ხარჯი დოლარში	2693
7485 ქონების გადასახადი	9595
7490 სხვა საერთო ხარჯი	4174
8100	4341
8120 დადებითი კურსთაშორის სხვაობა	681
8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3660
8200	82904
8210 საპროცენტო ხარჯი	82400
8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები	504

შპს „ვორდატ ჯორჯია“-ს
დირექტორი:

ჯემალ აბაშიძე

დირექტორი:

ულურ აიათა

